წინადადებების ტიპები 4-5 წლის ბავშვებში

შორენა გრიგოლია

კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი:

ნინო ცინცაძე

თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია წინადადებების რომელ ტიპებს იყენებენ 4-5 წლის ქართულენოვანი ბავშვები მეტყველებისას და რა თავისებურება ახლავს მათ გამოყენებას როგორც შინაარსის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის და კითხვა - ძახილის), ასევე აგებულების მიხედვით (იგულისხმება მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები). დასკვნები მიღებულია 4-5 წლის ორი ბავშვის (გოგონა და ვაჟი) CLAN- ბაზაზე არსებული ნარატივების დამუშავების შედეგად 3-თვიანი შუალედებით : 4 წელი, 4 წელი და 3 თვე, 4 წელი და 6 თვე, 4 წელი და 9 თვე, 5 წელი . საანალიზო მონაცემების მისაღებად მოვამზადეთ ვიდეო/აუდიო ჩანაწერების ტრანსკრიპტი, დავთვალეთ გამოყენებული წინადადებების რაოდენობა, პროცენტული მაჩვენებელი და სიხშირე. მონაცემები გავფილტრეთ როგორც ტიპებისა და რაოდენობის, ასევე სქესის და ასაკის ინდიკატორების მიხედვით, კვლევას აქვს აღწერითი ხასიათი. მოსალოდნელია სავარაუდო წინადადებების ტიპების გამოვლენა ნარატივში : შინაარსის მიხედვით - კითხვითი და თხრობითი,ბრძანებით, კითხვა-ძახილის, ხოლო აგებულების მიხედვით - ძირითადად, მარტივი და შერწყმული.

Abstract

The study reviews which types of sentences are used by 4-5-year-old Georgian-speaking children during speech and determines what features accompany their use both in terms of content (narrative, interrogative, exclamatory and question-exclamatory) and in terms of structure (means simple, compound and complex sentences). The conclusions were obtained as a result of processing the narrative of two 4-5-year-old Georgian-speaking children, Ana and Methe, on the CLAN-base with 3-month intervals: 4 years, 4 years and 3 months, 4 years and 6 months, 4 years and 9 months, 5 years. To obtain analytical data, we prepared a transcript of the video/audio recordings, counted the number of used sentences, percentage and frequency. We filtered the data according to the types and quantity. The research has a descriptive character. It is expected to reveal the types of possible sentences in the narrative: according to the content - narrative sentence, interrogative sentence, command sentence sentence, and according to the structure - simple and combined.